

# ფინანსური რისკების კლასიფიკაცია, ნეიტრალიზაციის მექანიზმები და ეფექტიანობა

გიორგი ცაავა  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის პროფესორი, ე.მ.დ.

**ანოტაცია:** სტატიაში აღნიშნულია, რომ ფინანსური რისკი - სუბიექტის სამეურნეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე ურთულეს კატეგორიას წარმოადგენს, ფინანსური რისკის ქვეშ - სუბიექტის ფინანსური საქმიანობის განხორციელების პირობების განუსაზღვრელობის სიტუაციაში, შემოსავლის ან კაპიტალის დაკარგვის ფორმაში არახელსაყრელი ფინანსური შედეგების წარმოშობის ალბათობა გაიგება. მითითებულია, რომ სანარმოს ფინანსური რისკების მართვა თავისთავად მათ იდენტიფიკაციასთან, შეფასებასთან, პროფილაქტიკასთან და დაზღვევასთან დაკავშირებული მათი ნეგატიური ფინანსური შედეგების წინასწარ განჭვრეტისა და ნეიტრალიზაციის პრიცესს წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური რისკი, არასისტემატიური (სპრციფიკური) რისკი, ფინანსური რისკის დონე, ფინანსური პოლიტიკა, ფინანსური სტრატეგია. ეფექტიანობა.

## CLASSIFICATION OF THE FINANCIAL RISK, NEUTRALIZATION MECHANISMS AND THEIR EFFECTIVENESS

Tsaava Giorgi Prof. Georgian  
Technical University, D.E.N.

### SUMMARY


1. The issues of managing the financial risks of subjects (enterprises, organizations, institutions, banks), its general foundations and mechanisms for their non-neutralization have been studied and it is noted that financial risk is one of the most complex categories associated with the implementation of economic activity and that the financial risk of the enterprise is understood as the probability the emergence of adverse financial consequences in the form of loss of income or capital in a situation of uncertainty of the conditions for the implementation of its financial activities.

2. It is clarified that the financial risk management policy is part of the overall financial strategy of the enterprise, which consists in developing a system of measures to neutralize the possible negative financial consequences of the risks associated with the implementation of various aspects of financial activities

3. It is noted that the insurance of financial risks is a zhashchityu of the property interests of the enterprise in the event of an insurance event (insurance event) by special companies (insurers) at the expense of monetary funds formed by receiving insurance premiums (insurance premiums) from policyholders.

**Key words:** Financial risks, nonsystematic risk, degree of financial risk, financial position, financial strategy. effectiveness.

ფინანსური რისკი - სამეურნეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე ურთულეს კატეგორიას წარმოადგენს, რომლისათვისაც დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი მახასიათებლები (ნახ. 1.1.):



ნახაზი 1.1. კატეგორია ფინანსური რისკის ძირითადი მახასიათებლები.

სუბიექტის ფინანსური რისკის ქვეშ - მისი ფინანსური საქმიანობის განხორციელების პირობების განუსაზღვრელობის სიტუაციაში, შემოსავლის ან კაპიტალის დაკარგვის ფორმაში არახელსაყრელი ფინანსური შედეგების წარმოშობის ალბათობა გაიგება.


სუბიექტების ფინანსური რისკები - დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდებიან და მათი ეფექტიანი მართვის განხორციელების მიზნით შემდეგი ძირითადი ნიშნების მიხედვით კლასიფიცირდებიან (ნახ. 1.2.):

ფინანსური რისკების კლასიფიკაცია:
<b>1. სახეობის მიხედვით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფინანსური რისკების ძირითადი სახეობები განიხილება ქვემოთ;</li> </ul>
<b>2. დახასიათებადი ობიექტის მიხედვით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• რისკი ცალკე ფინანსური ოპერაციების;</li> <li>• რისკი ფინანსური საქმიანობის სხვადასხვა სახეობების;</li> <li>• რისკი მთლიანობაში სუბიექტის ფინანსური საქმიანობის;</li> </ul>
<b>3. გამოვლევადი ინსტრუმენტების ერთობლიობის მიხედვით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინდივიდუალური ფინანსური რისკი;</li> <li>• პორტფელური ფინანსური რისკი;</li> </ul>
<b>4. კვლევის კომპლექტურობის მიხედვით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• მარტივი ფინანსური რისკი;</li> <li>• რთული ფინანსური რისკი;</li> </ul>
<b>5. წარმოქმნის წყაროების მიხედვით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარე ანუ სისტემატიური რისკი;</li> <li>• შიდა ანუ არასისტემატიური რისკი;</li> </ul>
<b>6. ფინანსური შედეგების მიხედვით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• რისკი მხოლოდ ეკონომიკური დანაკარგების მომტანი;</li> <li>• რისკი გაშვებული სარგებელის მომტანი;</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• რისკი როგორც ეკონომიკური, ასევე დამატებითი შემოსავლებიც მომტანი;</li> </ul>
<b>7. დროში გამოვლენის ხასიათის მიხედვით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუდმივი ფინანსური რისკი;</li> <li>• დროებითი ფინანსური რისკი;</li> </ul>
<b>8. ფინანსური დანაკარგების დონის მიხედვით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• დასაშვები ფინანსური რისკი;</li> <li>• კრიტიკული ფინანსური რისკი;</li> <li>• კატასტროფიული ფინანსური რისკი;</li> </ul>
<b>9. განჭვრეტის შესაძლებლობის მიხედვით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგნოზირებად ფინანსური რისკი;</li> <li>• არაპროგნოზირებადი ფინანსური რისკი;</li> </ul>
<b>10. დაზღვევის შესაძლებლობის მიხედვით:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაზღვევადი ფინანსური რისკი;</li> <li>• დაუზღვევადი ფინანსური რისკი.</li> </ul>

**ნახაზი 1.2. ფინანსური რისკების კლასიფიკაცია ძირითადი ნიშნების მიხედვით.**

თანამედროვე ეტაპზე სუბიექტის ფინანსური რისკების ძირითადი სახეობების რიცხვს მიეკუთვნება შემდეგი (ნახ. 1.3.):



**ნახაზი 1.3. ფინანსური რისკების ძირითადი სახეობების დახასიათება.**


აღნიშნული განხილვადი ორი ჯგუფის რისკების შემადგენლობა ძალიან მოძრავია და იგი სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ჩამოყალიბებული ფორმებისას არა მარტო მათი პროგნოზირების შესაძლებლობასთან, არამედ კონკრეტულ ეკონომიკურ პირობებში სადაზღვევო ოპერაციების ცალკეული სახეობების განხორციელების ეფექტიანობასთანაც არის დაკავშირებული .

საწარმოს ფინანსური რისკების მართვა თავისთავად მათ იდენტიფიკაციასთან, შეფასებასთან, პროფილაქტიკასთან და დაზღვევასთან დაკავშირებული მათი ნეგატიური ფინანსური შედეგების წინასწარ განჭვრეტისა და ნეიტრალიზაციის პრიცესს წარმოადგენს.


საწარმოს ფინანსური რისკების მართვ აგარკვეულ პრინციპებზეა დაფუძნებული, რომელთა შორის ძირითადებს წარმოადგენენ (ნახ. 1.4.):

ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა თავისთავად საწარმოს საერთო ფინანსური სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ფინანსური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შესაძლო ნეგატიური ფინანსური შედეგების ნეიტრალიზაციასთან მიმართებაში ღონისძიებების სისტემის შემუშავებაში მდგომარეობს.

ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკის ფორმირება და რალიზაცია ითვალისწინებს მშდეგი ძირთადი ღონისძიებების განხორციელებას (ნახ. 1.5.):



ნახაზი 1.4. საწარმოს ფინანსური რისკების მართვის ძირითადი პრინციპები



4. სარისკო გარემოების დადგომუხას შესაძლო ფინანსური დანაკარგების სიდიდის განსაზღვრა ფინანსური რისკების ცალკეული სახეობების მიხედვით
5. ფაქტორების გამოკვლევა, რომლებიც საწარმოს ფინანსური რისკების დონეზე ზემოქმედებენ
6. ფინანსური რისკების ზღვრულად დასაშვები დონის დადგენა ცალკეული ფინანსური ოპერაციებისა და საწარმოს ფინანსური საქმიანობის სახეობების მიხედვით
7. ფინანსური რისკების ცალკეული სახეობების ნეგატიური შედეგების ნეიტრალიზაციის მიმართულებების განსაზღვრა
8. ფინანსური რისკების ცალკეული სახეობების ნეგატიური შედეგების ნეიტრალიზაციისშიდა მექანიზმების შერჩევა და გამოყენება
9. საწარმოს ცალკეული ფინანსური რისკების დაზღვევის (გადაცემის) ფორმებისა და სახეობების შერჩევა
10. საწარმოს ფინანსური რისკების მონიტორინგის ნეიტრალიზაციისა და ორგანიზაციის შედეგიანობის შეფასება

**ნახაზი 1.5. საწარმოს ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა**

იდენტიფიცირებული ფინანსური რისკების პორტფელის პროექტის სამაგალითო ფორმა ცხრილი 1.1-შია მოყვანილი:

**ცხრილი 1.1. საწარმოს იდენტიფიცირებული ფინანსური რისკების პროექტირებადი პორტფელი**

იდენტიფიცირებული ფინანსური რისკების სახეობები	საინვესტიციო საქმიანობა:	საკრედიტო საქმიანობა:	და ა.შ.
1	2	3	4
<b>I. გარე (სისტემატიური) ფინანსური რისკები:</b>			
1. პროცენტული რისკი	+	+	
2. დეპოზიტური რისკი	+		
3. ინფლაციური რისკი	+	+	
4. საგადასახადო რისკი	+		
და ა.შ.			
<b>II. შიდა (არასისტემატიური) ფინანსური რისკები:</b>			
1. ფინანსური მდგრადობის შემცირების რისკი	+		
2. გადახდისუნარიანობის რისკი		+	
3. საინვესტიციო რისკი	+		
4. საკრედიტო რისკი		+	
და ა.შ.			


საწარმოს ფინანსური რისკების დონეზე ზემოქმედი ძირითადი ფაქტორების სისტემა ნახაზი 1.6-ზეა მოყვანილი:

საწარმოს ფინანსური რისკების დონეზე ზემოქმედი ძირითადი ფაქტორები:		
ობიექტური ფაქტორები:		სუბიექტური ფაქტორები:
1. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე		1. საწარმოს ფინანსური სტრატეგიის ძირითადი პარამეტრები
2. საწარმოს ფინანსური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ხასიათი		2. დასაშვები რისკების პოლიტიკაში მესაკუთრეებისა და მენეჯერების ფინანსური მენტალიტეტი
3. ინფლაციის ტემპი ქვეყანაში		3. საწარმოს საკუთარი კაპიტალის სიდიდე
4. ფინანსურ ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების კონიუნქტურა		4. გამოყენებადი კაპიტალის სტრუქტურა
5. ფინანსური ბაზრის ცალკეულ სეგმენტებში კონკურენციის დონე		5. გამოყენებადი აქტივების შემადგენლობა
6. ქვეყანაში (რეგიონში) კრიმინოგენული მდგომარეობის დონე		6. ცალკეული ფინანსური ოპერაციების განხორციელებისას გამოყენებადი ფინანსური ინსტრუმენტების ხასიათი (სახეობები)
7. ფორს-მაჟორული ჯგუფის ფაქტორები		7. ფინანსური მენეჯმენტის გამიყენებადი ინფორმაციული ბაზის საკმარისობა
		8. ფინანსური ოპერაციების მიხედვით პარტნიორების დახასიათება
		9. ფინანსური მენეჯერების კვალიფიკაციის დონე

ნახაზი 1.6. საწარმოს ფინანსურ რისკებზე ზემოქმედი ფაქტორები

ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციის შიდა მექანიზმები თავისთავად თვით საწარმოს ჩარჩოებში არჩევადი და განხორციელებადი მათი ნეგატიური შედეგების მინიმიზაციის მეთოდების სისტემას წარმოადგენს.

ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციის შიდა მექანიზმების სისტემა ითვალისწინებს შემდეგი ძირითადი მეთოდების გამოყენებას (ნახ 1.7.):



ნახაზი 1.7. საწარმოს ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციის მექანიზმები

ფინანსური რისკების დაზღვევა თავისთავად, სპეციალური სადაზღვევო კომპანიების (დამზღვევის) მიერ, დაზღვეულებისაგან სადაზღვევო პრემიების (სადაზღვევო შენატანების) მიღების გზით ფორმირებადი ფულადი ფონდების ხარჯზე, სადაზღვევო გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას საწარმოს ქონებრივი ინტერესების დაცვას წარმოადგენს (იხ. ნახ. 1.8.).

ბაზარზე შეთავაზებადი სადაზღვევო მომსახურებები, რომლებიც საწარმოს ფინანსური რისკების დაზღვევას უზრუნველყოფენ, კლასიფიცირდებიან შემდეგი სახის რიგი მიმართვისებებით (ნახ. 1.9.):

რისკის დაზღვევალობა		ფინანსური რისკის დაზღვევის აუცილებლობა
რისკის მიხედვით სადაზღვევო დაცვის მისაღები ღირებულება	საწარმოს ფინანსური რისკების დაზღვევის პირობები	საწარმოსათვის სადაზღვევო ინტერესის არსებობა
საწარმოს ჩატრეობში რისკის არაპროგნოზირებადობა და არარეგულირებადობა	ფინანსური რისკის წარმოქმნის ალბათობის მაღალი ხარისხი	რისკის მიხედვით საკუთარი ფინანსური რესურსების ხარჯზე ფინანსური დანაკარგების სრილად შესვლის შეუძლებლობა

**ნახაზი 1.8. საწარმოს ფინანსური რისკების დაზღვევის ძირითადი პირობები**

ბაზარზე შეთავაზებადი სადაზღვევო მომსახურებები, რომლებიც საწარმოს ფინანსური რისკების დაზღვევას უზრუნველყოფენ, კლასიფიცირდებიან შემდეგი სახის რიგი მიმართვისებებით (ნახ. 1.9.):

<b>საწარმოს ფინანსური რისკების დაზღვევის კლასიფიკაცია:</b>	
<p>დაზღვევის ფორმის მიხედვით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სავალდებულო დაზღვევა;</li> <li>• მეზაყოფლობითი დაზღვევა.</li> </ul>	↓
დაზღვევის ობიექტების	

<p><b>მიხედვით:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქონებრივი დაზღვევა;</li> <li>• პასუხისმგებლობის დაზღვევა;</li> <li>• პერსონალის დაზღვევა.</li> </ul>
<p><b>დაზღვევის მოცულობების მიხედვით:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მთლიანი დაზღვევა;</li> <li>• ნაწილობრივი დაზღვევა.</li> </ul>
<p><b>დაზღვევის სისტემის გამოყენების მიხედვით:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაზღვევა ქონების ნამდვილი ღირებულების მიხედვით;</li> <li>• დაზღვევა პროპორციონალური პასუხისმგებლობის სისტემის მიხედვით;</li> <li>• დაზღვევა პირველი რისკის სისტემის მიხედვით;</li> <li>• დაზღვევა უპირობო ფრანჩიზას გამოყენებით;</li> <li>• დაზღვევა პირობითი ფრანჩიზას გამოყენებით.</li> </ul>
<p><b>დაზღვევის სახეობების მიხედვით:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაზღვევა ქონების (აქტივების);</li> <li>• დაზღვევა საკრედიტო რისკების;</li> <li>• დაზღვევა დეპოზიტური რისკების;</li> <li>• დაზღვევა საინვესტიციო რისკების;</li> <li>• დაზღვევა ირიბი ფინანსური რისკების;</li> <li>• დაზღვევა ფინანსური გარანტიების</li> <li>• ფინანსური რისკების დანარჩენი სახეობების დაზღვევა.</li> </ul>

**ნახაზი 1.9. საწარმოს ფინანსური რისკების დაზღვევის კლასიფიკაციის ნიშანთვისებები**

თანამედროვე სადაზღვევო ბაზარი საკმაოდ კონკურენტულს წარმოადგენს და საწარმოებს თავიანთი ფინანსური რისკების დაზღვევისას დამზღვევის შერჩევის ფართე შესაძლებლობებს თავაზობს. სადაზღვევო ბაზარზე ფუნქციონირებადი სადაზღვევო კომპანიები სპეციალიზაციის ფორმების მიხედვით დაიყოფა სამ ძირითად სახეობად:

1. **უნივერსალური სადაზღვევო კომპანიები ღია ტიპის.**
2. **სპეციალიზირებული სადაზღვევო კომპანიები ღია ტიპის.**
3. **უწყებრივი (ანუ ე.წ. „კეპტიური“) სადაზღვევო კომპანიები.**

საწარმოს ურთიერთობა სადაზღვევო კომპანიასთან აიგება დაზღვევის ხელშეკრულების - დამზღვევსა და დაზღვეულს შორის შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ცალკეული სახეობის ფინანსური რისკების დაზღვრვოს პირობების მიხედვით მათი ურთიერთ უფლებებისა და ვალდებულებების რეგლამენტირებას ახდენენ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველს, რომელიც სადაზღვრვო დაცვის საიმედოობასა და მის ეფექტიანობას განსაზღვრავს, დაზღვევის პირობები შეადგენენ. აღნიშნული პირობების უმნიშვნელოვანეს ელემენტებად გამოდიან (ნახ. 1.10):



დამზღვევის სადაზღვევო პასუხისმგებლობის მოცულობა		დაზღვეულის ქონების სადაზღვევო შეფასების სიდიდე
სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის წესი	<b>დაზღვევის პირობების ძირითადი ელემენტები:</b>	სადაზღვევო თანხის სიდიდე
სადაზღვევო ზარალის სიდიდის განსაზღვრის წესი		სადაზღვევო ტარიფის (სატარიფო განაკვეთის) სიდიდე
სადაზღვრვო ფრანჩიზას სიდიდე და ხასიათი	სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი	სადაზღვევო პრემიის (გადასახადის, შესატანის) სიდიდე

**ნახაზი 1.10. საწარმოს ფინანსური რისკების დაზღვევის პირობების მახასიათებელი ძირითადი ელემენტების შემადგენლობა.**

ზემოთარნიშნულის გათვალისწინების შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. **შესწავლილია** სუბიექტების (საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, ბანკების) ფინანსური რისკების მართვის საკითხები, მისი საერთო საფუძვლები და მათი ნეიტრალიზაციის მექანიზმები და აღნიშნულია, რომ ფინანსური რისკი - სამეურნეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე ურთულეს კატეგორიას წარმოადგენს და რომ ორგანიზაციის ფინანსური რისკის ქვეშ - მისი ფინანსური საქმიანობის განხორციელების პირობების განუსაზღვრელობის სიტუაციაში, შემოსავლის ან კაპიტალის დაკარგვის ფორმაში არახელსაყრელი ფინანსური შდეგების წარმოშობის ალბათობა გაიგება.

2. **დაზუსტებულია**, რომ ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა თავისთავად საწარმოს საერთო ფინანსური სრტატეგიის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ფინანსური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შესაძლო ნეგატიური ფინანსური შედეგების ნეიტრალიზაციასთან მიმართებაში ღონისძიებების სისტემის შემუშავებაში მდგომარეობს.

3. **აღნიშნულია**, რომ ფინანსური რისკების დაზღვევა თავისთავად, სპეციალური სადაზღვევო კომპანიების (დამზღვევევის) მიერ, დაზღვეულებისაგან სადაზღვევო პრემიების (სადაზღვევო შენატანების) მიღების გზით ფორმირებადი ფულადი ფონდების ხარჯზე, სადაზღვევო გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას საწარმოს ქონებრივი ინტერესების დაცვას წარმოადგენს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Бланк И.А. – **Основы финансового менеджмента**. Т.2. – Киев: Ника-Центр. 1999. – 512 с.
2. ინგოროყვა ა., ცაავა გ. - **ფინანსური მენეჯმენტი**. ტ.2. - თბილისი, გამომცემლობა: „გრალი“, 2011. – 702 გვ.
3. ცაავა გ. და სხვები. - **რისკოლოგია: ეკონომიკური, ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი**, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „გრალი“, 2018. - 665 გვ. (ელექტრონული წიგნი).